პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 იანვარი, ოთხშაბათი, 1988 წ. № 9 (9670) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ჩემპიონატი: ვინ, ვის, როდის?

### დიუსელდორფში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა წილისყრა

**I ჯგუფი:** გფრ, იტალია, დანია, ესპანეთი.
**II ჯგუფი:** ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, სსრ კავშირი.

ტურნირი 10 ივნისს დაიწყება გფრ—იტალიის მატჩით. 12 ივნისს სსრ კავშირის ნაკრები პირველ შეხვედრას ჩაატარებს ჰოლანდიის ნაკრებთან. 15 ივნისს ჩვენი გუნდი ეთამაშება ირლანდიის, ხოლო 18-ში — ინგლისის ნაკრებს.

21-22 ივნისს ნახევარფინალებია: ერთმანეთს ხვდებიან I ჯგუფში I ადგილზე და II ჯგუფში II ადგილზე გასული გუნდები. 22 ივნისს ითამაშებენ ისინი, ვინც I ჯგუფში II ადგილზე და II ჯგუფში I ადგილზე გავა.

25 ივნისს ფინალია.

# ჩემპიონატის დაბრუნება

### 28 წლის შემდეგ თბილისი კვლავ უმასპინძლებს სსრ კავშირის ჩემპიონატს კლასიკურ ჭიდაობაში

ვიდრე ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ჭიდაობა სხვადასხვა მიმართულებად „დანაწევრდებოდა“, ამ ორთაბრძოლებს ქართული ჭიდაობა ერქვა. შემდეგ კი, როდესაც გაჩნდა კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა თუ ძიუდო, ჭიდაობის მოყვარულმა და დამფასებელმა ქართველმა ხალხმა ყველას გაუნაწილა თავისი სიყვარული, როგორც მათმა სათაყვანო ქართულმა ჭიდაობამ — თავისი ილეთები. და დაიწყო ქართველ ფალავანთა ხანგრძლივი წარმატებები კლასიკურ თუ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებებში, ძიუდოში.

სხვადასხვა იყო ჭიდაობის მიმართულებათა განვითარების გზები. ადრინდელ პერიოდს არ შევეხებით, მაგრამ ბოლო ხანს საქართველოში აშკარად მოგვაკლდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდი შეჯიბრებები. მაგალითად, საკავშირო ჩემპიონატი საქართველოში უკანასკნელად 1961 წელს ჩატარდა ქუთაისში (1960 წელს შეჯიბრებას თბილისმა უმასპინძლა). შემდეგ კი ამ უმნიშვნელოვანესმა ტურნირმაც ზურგი შეგვაქცია და ჩვენი ფალავნების წარმატებების ამბავი მხოლოდ შორიდან გვესმოდა.

და აი, 20 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება დიდი ხნის ნანატრი ტურნირი — ქვეყნის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ახლა, ოლიმპიურ წელს, მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს — ეჭვი არ გვეპარება, რომ თბილისის შეჯიბრების რამდენიმე გამარჯვებულს სეულის ოლიმპიადის საპატიო კვარცხლბეკზეც ვიხილავთ. ეს მოლოდინი კიდევ უფრო ამძაფრებს ისედაც საინტერესო ტურნირს. გასაგებიცაა, გამარჯვებულს ევროპის ჩემპიონატისაკენ ეხსნება გზა და მისთვის საგრძნობლად ახლოვდება ნანატრი ოლიმპიური სარბიელიც. ერთი სიტყვით, თბილისელი მაყურებელი მართლაც დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლებს იხილავს, მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საბჭოთა კავშირის 160 უძლიერესი მოჭიდავე ჩამოდის. ახლა ყველაფერი კეთდება ამ ავტორიტეტული ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. როგორც ადრე ვიუწყებოდით, შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი.



ჩემპიონატისათვის გაცხოველებით ემზადება საქართველოს ნაკრები, რომლის მზადების პერიპეტიებსა და გუნდის შემადგენლობას შეჯიბრებამდე გაგაცნობთ. და მაინც, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სპეციალისტები მთავარ იმედებს 90 და 100 კგ წონით კატეგორიებს უკავშირებენ, სადაც იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონი გურამ გედეხაური, თენგიზ თედორაძე, ზაურ ივანიშვილი. რა თქმა უნდა, სხვა მოჭიდავეებიც შეეცდებიან საკუთარ გულშემატკივართა წინაშე თავის გამოჩენას.

შეჯიბრება 20 იანვარს, 10 საათზე დაიწყება და ოთხ დღეს გასტანს.

## ვ. გრანატკინის მემორიალი

**მოსკოვში** დასასრულს უახლოვდება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვ. გრანატკინის ტრადიციული საერთაშორისო მემორიალური ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

III ტურში სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა საფრანგეთის გუნდი. ჩინელმა ფეხბურთელებმა მოუგეს სსრ კავშირის მეორე ნაკრებს — 2:1, მოულოდნელი მარცხი განიცადეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან შეხვედრაში — 0:1.

მორიგი ტურის წინ, რომლის მატჩები დღეს გაიმართება, ლიდერობს სსრ კავშირის პირველი ნაკრები, მას 3 ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს. მეორე ადგილზე იმყოფებიან ჩინელი ფეხბურთელები (4 ქულა), მესამეზე — ფრანგები (3).

როგორც ვიტყობინებოდით, სსრ კავშირის პირველ გუნდში გამოდიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები მ. კალატოზიშვილი, ბ. თედეევი და ო. თეთრაძე. მსაჯობენ თბილისელი არბიტრები ვ. მიმინოშვილი და გ. სეფიაშვილი.

ცენტრალური პრესა აღნიშნავს, რომ ჩვენი ჭაბუკი ფეხბურთელები, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად არღვევენ წესრიგს. უხეშად დაარღვია დისციპლინა ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელმა, პირველი ნაკრების წევრმა ო. სალენკომ. ეტყობა, იგი განდიდების მანიითაა შეპყრობილი, ნაკრების შეკრებაზე ზერელედ ვარჯიშობდა და ამავე დროს ფრიად უპატივცემლოდ ეპყრობოდა თავის თანატოლ ამხანაგებს. გუნდის საერთო კრებამ ო. სალენკო გარიცხა ნაკრების შემადგენლობიდან.

გაოცებას იწვევს ნაკრების სხვა ფეხბურთელის, მოსკოვის დინამოელ ა. ტიმოშენკოს უტიფრობა. ერთ-ერთი მატჩის შესვენებისას პირველი ნაკრების მწვრთნელმა გ. იგნატიევმა მას პასიურობა უსაყვედურა, ამის პასუხად ა. ტიმოშენკომ განაცხადა, რომ საერთოდ აღარ სურს ნაკრებში თამაში.

სპეციალისტთა საერთო აზრი ამ ფაქტებზე ასეთია: ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა გარშემო იქმნება რაღაც განსაკუთრებული ატმოსფერო, მათ ყველაფრის უფლებას აძლევენ და სერიოზულ შეცდომებსაც პატიობენ. სწორედ ამის შედეგია, რომ ზოგიერთი ნორჩი „პრემიერი“ აგდებულად ეპყრობა მწვრთნელებსაც, მაყურებლებსაც და საკუთარ კოლექტივსაც.

## პროლუშკა და ივანო-ფრანკოვსკში

მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის პირველობები მოჭადრაკე გოგონათა და ჭაბუკთა შორის. 5 ტურის შემდეგ გოგონებში 4 ქულა აქვს ნათია ჯანჯღავას, თეა ლანჩავას — 3,5, სოფიკო ტერელაძეს — 2,5, სოფიკო ნიკოლაძესა და ნინო ხურციძეს — 2-2.

ამდენივე ტურია გათამაშებული ჭაბუკთა შეჯიბრებაში. აქ საქართველოს წარმომადგენლებს ასეთი შედეგები აქვთ: გია გოგოლაძე — 3,5 ქულა, რომან სიჭინავა — 3, შოთა კუჭუხიძე, დათო იაშვილი — 2-2.

### ტელეტაიპი - მკითხველი

**გუშინწინ** კაუნასში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი გამოტოვებული შეხვედრა ვილნიუსის „სტატიბასა“ და კიევის არმიელთა შორის. გამარჯვება ლიტველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 78:76 (40:34).

**დავოსი.** მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე გდრ-ის მოციგურავემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარინ კანილა-ენკემ მცირე მრავალჭიდის ჯამში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 163,446 ქულა. კანილამ 3,236 ქულით გააუმჯობესა ხუთი წლის წინ მოსკოველი ნატალია პეტრუსიოვას მიერ დამყარებული რეკორდი.

## დღეს ნომერში...



ჩვენს მძლეოსნობაში შექმნილი ბევრი პრობლემა წარმოაჩინა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატმა,— რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში.

(რუბრიკით „ხარვეზებზე — საჯაროდ!“ წერილი იხილეთ მე-2 გვერდზე).

„ავჭალური“ — „ბეილი—ვიკ!“. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ბურთის კენწვლა, რომლის ჩვენეულ ნაირსახეობას „ავჭალურს“ ვეძახით, თურმე მთელ მსოფლიოში ყოფილა გავრცელებული და ამ სახეობაში, რომელიც „ბეილი-ვიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მსოფლიო ჩემპიონატიც ტარდება.

გუშინ მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონისა და რეკორდსმენის ვინაობაც შევიტყვეთ—ლენდი ლინდერი. („ავჭალურის“ შესახებ წერილს მე-3 გვერდზე გთავაზობთ).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები რედაქციას

მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთში საქართველოს პირველობის შესახებ ჩვენი გაზეთის 24 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილმა ანკეტამ. სარედაქციო ფოსტას ყოველდღიურად მოაქვს პასუხგაცემული ანკეტები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, რომლის ანალიზს მალე შემოგთავაზებთ.

გარდა ამისა, ვიღებთ ბარათებს, სადაც მკითხველი უშუალოდ თავის პირად მოსაზრებებს გვიზიარებს საერთოდ ფეხბურთთან დაკავშირებით. დღეს გთავაზობთ რამდენიმე წერილს.

## თავი და თავი ბავშვთა ფეხბურთია!

მინდოდა გამეზიარებინა ჩემი რამდენიმე მოსაზრება ფეხბურთის შესახებ.

სერიოზული საუბარი საქართველოს პრიველობაზე და მისი ჩატარების ხარვეზებზე, ხელშემშლელი პირობების ანალიზი საბოლოოდ ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მდგომარეობამდე მიგვიყვანს. ჩემი აზრით, პირველი და გადაუდებელი საქმე სწორედ ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის გაუმჯობესებაა.

ფეხბურთის დიდი ხნის გულშემატკივარი ვარ. ხანდახან ვუყურებ ბავშვების თამაშს. არავითარი პირობები! არ არსებობს მწვრთნელის დაინტერესების სისტემა. ხომ თამაშდება ფეხბურთის ლატარია. აი, ამ ლატარიის შემოსავლიდან ნაწილი მათ უნდა ეძლეოდეთ, რასაკვირველია, დამსახურებისამებრ. ჩემი აზრით, ბავშვთა ფეხბურთი საერთოდ ფეხბურთის თავი და თავია. მწვრთნელიც და ბავშვიც მორალური სიწმინდით უნდა გამოირჩეოდნენ. მათთვის უცხო უნდა იყოს ყოველგვარი ანგარება. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა.

რაც შეეხება საქართველოს პირველობას, აი, რას ვიტყოდი: მე ბევრ ფეხბურთელს ვიცნობ, რომლებიც ადრე ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდნენ, ახლა კი წყალტუბოში გამოდიან. მეტწილად გადასვლები ხომ მატერიალურ შემოსავალთანაა დაკავშირებული, ნურც ამას ავუვლით გვერდს.

მსაჯებსაც მეტი უნდა გადაუხადონ. მაშინ ალბათ ამდენი დარღვევა აღარ იქნება.

მე ხშირად ვესწრებოდი საქართველოს პირველობის მატჩებს წყალტუბოში. ზოგჯერ მრცხვენოდა კიდეც — იქ თამაშს დასასვენებლად ჩამოსული ბევრი სტუმარიც ესწრება, მსაჯის მოქმედება კი ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ხშირად ვკითხულობ გაზეთში ფეხბურთელის უხეშობაზე. როგორ უნდა უყურო ამისთანა თამაშს, რატომ აიძულებენ მაყურებელს არ იარონ სტადიონზე?

**ა. კვიჟინაძე.**
ქუთაისი.

## მიზეზები შიგნითაა დასაძებნი

მე, რა თქმა უნდა, სპორტის ყველა სახეობა მაინტერესებს, რომელშიც ქართველი სპორტსმენები თავს გამოიჩენენ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფეხბურთი მიყვარს. შარშანდელი სეზონი ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის ძალზე უიღბლო გამოდგა, განსაკუთრებით გულსატკენი კი ქუთაისის „ტორპედოს" წარუმატებლობა იყო. გავიხსენოთ 1965 წელი. მაშინ, როცა „ტორპედოს" უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე ემუქრებოდა, ქუთაისელები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ქვეყნის ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტს კიევის „დინამოს" შეხვდნენ. ქუთაისელებმა მაშინ თითქოს შეუძლებელი შეძლეს, ოქროს მედლები „ხელიდან გამოსტაცეს" კიეველებს და მთელი სპორტული სამყარო აალაპარაკეს. ახლა კი ყველა ჩვენთაგანს ერთი საფიქრალი აქვს — ნეტავ როდის ვნახავთ ქუთაისში დიდ ფეხბურთს? გვიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, „ტორპედოს" ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა თითქოს იმედი გადაგვიწურა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ „ტორპედოს" დაღმასვლის მიზეზები „გარეთ" კია არა, „შიგნით", ჩვენ საფეხბურთო ცხოვრებაში, უშუალოდ საქართველოს პირველობაშია საძებნელი და, რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ბევრი, ვისაც პასუხი მოეთხოვება, თავს ვერაფრით იმართლებს.

**ვლადიმერ პატარიძე,**
ტყიბული.

## „დინამოს" ღირსებას ყველა გაუფრთხილდეთ!

— ძვირფასო რედაქცია! პირველად ვწერ წერილს რედაქციაში, მე მართალია 23 წლის ვარ, მაგრამ ფეხბურთის და კერძოდ თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი ვარ იმ დროიდან, როდესაც პირველად ვნახე ტელევიზორში ეს მართლაც შეუდარებელი თამაში — ფეხბურთი!

როდესაც თანდათან დავიწყე ფეხბურთის ნიუანსებში გარკვევა, მაშინ ჩვენი „დინამო" მართლაც კარგი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ...ყველამ კარგად იცის, რა მდგომარეობაში იყო „დინამო" გერმან ზონინის ჩამოსვლამდე და შემდეგ როგორ შეიცვალა მდგომარეობა. ჩემი აზრით, ზონინი არის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიც, ის პირველ რიგში ადამიანია და ჩვენთან დახმარების გაწევის მიზნით ჩამოვიდა.

მე ეგრეთ წოდებულ „კანონიერ ქურდთა" წრეში შევდიოდი და მართალი რომ გითხრათ, შეიძლება არც კი დაიჯეროთ, ციხეში ყოფნისას ყველაზე უფრო იმას ვნანობდი, რომ ფეხბურთს ვერ ვუყურებდი, რამდენ „საქმეზე" არ წავსულვარ როდესაც ფეხბურთი იყო, და რაც მთავარია, ამ „პროფესიას" სწორედ ფეხბურთის გულისათვის დავანებე თავი.

ერთი სიტყვით, თქვენთვის სასიამოვნო პიროვნება არა ვარ, მაგრამ ჩემს გარდა „დინამოს" მთელი საქართველო გულშემატკივრობს და ამიტომაც, ალბათ, მილიონობით გულშემატკივრების თხოვნაა, ჩვენთან ერთად ფეხბურთელებიც გაუფრთხილდნენ „დინამოს" ღირსებას.

**„დინამოს" გულშემატკივარი სოხუმიდან.**

## გაძლევთ პირობას, რომ...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე დაახლოებით ერთი წლის წინათ ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისაგან ჩამოვაყალიბეთ გუნდი მინიფეხბურთში და მას შემდეგ სისტემატურად კვირაში სამჯერ ვვარჯიშობთ ინსტიტუტის მე-3 კორპუსის სპორტდარბაზში.

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩავატარეთ ამხანაგური და ოფიციალური შეხვედრები, გავხდით ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადის ჩემპიონები, კონკურსგარეშე ვმონაწილეობდით უბნებს შორის გამართულ მინიფეხბურთელთა ტურნირში და ა. შ. ამჟამად ჩვენი წერილების საფუძველზე (გავგზავნეთ წერილები ქ. ბაქოში, ერევანში და კიევში) მოგვივიდა ოფიციალური მიწვევა ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად კიევისა და ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან.

ძვირფასო რედაქცია, ჩვენ გვინდა ჩავატაროთ საკავშირო ტურნირი მოკავშირე რესპუბლიკების პროფესორ-მასწავლებელთა შორის. ინიციატივის მიზანია არა მარტო სპორტული შეჯიბრება, არამედ სხვადასხვა ქალაქების სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრები, დაახლოება-დამეგობრება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გთხოვთ გაგვიწიოთ დახმარება, რათა სათანადო ორგანოები, თუ ორგანიზაციები დაინტერესდნენ ზემოაღნიშნული ტურნირის ჩატარებით, ჩვენ კი ჩვენი მხრივ, გაძლევთ პირობას, რომ არ შეგარცხვენთ და ვეცდებით გავხდეთ ამ ტურნირის პირველი ჩემპიონები.

თუ შეჯიბრება ტრადიციული გახდება და დაწესდება გარდამავალი თასი რომელიმე დიდი მედიკოსის პატივსაცემად, ეს ჩვენს თაოსნობას ერთიორად გაალამაზებს.

**გუნდის წევრთა სახელით — გუნდის უფროსი ე. ღონღაძე.**

## სასიხარულო სტრიქონები

**ვანი.** სოფელ სალხინოში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სოფლის საფეხბურთო მოედანს, მოეწყო ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები. მალე ციხესულორის საბჭოთა მეურნეობის, შუამთის 118-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლისა და ამავე სოფლის საშუალო სკოლის საფეხბურთო და სხვა სპორტულ მოედნებსაც გამოაცოცხლებს სპორტის მოყვარულთა ჟრიამული.

**თბილისი.** პავლოვის ქუჩა № 4-ა. ამ ეზოში სახალხო დეპუტატების რაიაღმასკომის ინიციატივით მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი, რომლის მშენებლობაში მოსახლეობაც მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.

**გორის რაიონის** სოფლების ტყვიავისა და ქიწნისის მწვანე საფარიანი საფეხბურთო მოედნები შესანიშნავადაა მოვლილი. ახლა აქ პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა საფეხბურთო მუშაობის გასააქტიურებლად.

**მახარაძე.** მახარაძისა და ნატანების კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბდა საფეხბურთო სპორტსკოლები, რაიონის საშუალო სკოლებში შეიქმნა ფეხბურთის სექციები, სადაც მრავალი ნორჩი ფეხბურთელი მეცადინეობს. რეგულარულად ეწყობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრებები, იზრდება საიმედო ცვლა.

**ვალერიან შავიშვილი.**
(„ლელოს" კორ.).

## მზრუნველობა გვაკლია

ჩვენთვის, წყალტუბოს ზონის სოფელ ცხუნკურის ახალგაზრდებისთვის პატრონი და დამხმარე არავინ გამოჩნდა და ამიტომ თქვენ მოგმართავთ.

დღეს, როცა სოფლებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას ესოდენ დიდი ყურადღება ექცევა, ჩვენ რატომღაც მზრუნველობას მოკლებულნი აღმოვჩნდით.

ცხუნკური არც ისე პატარა სოფელია და, აქედან გამომდინარე ჩვენთან ახალგაზრდობაც ბევრია. ყველას დიდი სურვილი გვაქვს თავისუფალი დრო სპორტს დავუთმოთ, მაგრამ სამისო პირობები არ გაგვაჩნია, განსაკუთრებით ზედა ცხუნკურში მცხოვრებლებს.

შარშან თხოვნით მივმართეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელმაც არავითარი დახმარება არ გაგვიწია. სხვებიც შევაწუხეთ, მაგრამ...

ვინ იცის, იქნებ ჩვენთანაც არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ქართულ სპორტს ასახელებენ. რატომ ვკარგავთ მათ? ეგეც რომ არ იყოს, მთავარი ხომ ჩემპიონების გაზრდა არ არის, მთავარი ადამიანის გაჯანსაღებაა.

პატივცემულო რედაქცია, გიგზავნით ამ პატარა წერილს და თქვენი დახმარების დიდი იმედი გვაქვს.

**სოფელ ცხუნკურის ახალგაზრდობის სახელით: თ. კეთილაძე, ე. ჯიმშელეიშვილი, მ. ჯიმშელეიშვილი, დ. კეთილაძე, ჯ. შვანგირაძე და სხვები.**

## ჩვენც გვინდა ლამაზი მოედანი

მოგეხსენებათ, დიღმის მასივში ბევრი სპორტული მოედანია, მავთულის ბადეებით შემოღობილი, ყველას თავისი სახელი ჰქვია. ჩვენ მინიფეხბურთის მოედანი კი გვაქვს, მაგრამ უვარგისია, არც შემოღობილია და არც კეთილმოწყობილი. არადა, ნეტავი განახათ რა ხალისით თამაშობენ და ეჯიბრებიან ერთმანეთს სხვადასხვა კორპუსის ბავშვები. პატივცემულო რედაქცია, ძალიან გვინდა ჩვენც გვქონდეს ლამაზი და კეთილმოწყობილი მოედანი. გთხოვთ გულისხმიერად მოეკიდოთ ჩვენს თხოვნას.

**პატივისცემით, ინგა ხმალაძე.**
მე-5 კვარტლის მე-18 კორპუსის ბინადარი.

## შრომა წყალში ჩაგვეყარა

პატივცემულო რედაქცია! ამ წერილს ციხისძირელი ბიჭები გიგზავნით. ჩვენ ძალიან გვიყვარს ფეხბურთი, მაგრამ სამწუხაროდ ერთი პატარა მოედანიც კი არა გვაქვს. შესაფერისი ადგილი გამოვძებნეთ, მაგრამ იქ წვიმის დროს წყალი დგება. ბიჭებმა თხრილიც კი შემოვავლეთ, მაგრამ ამაოდ, შრომა წყალში ჩაგვეყარა. როგორც ჩანს, დიდები თუ არ დაგვეხმარნენ, ჩვენ ვერაფერს გავხდებით. გეხვეწებით, თქვენ გვიშუამდგომლეთ მათთან!

**რამაზ ბოლქვაძე.**
ქობულეთის რაიონი, ციხისძირი.

## ერთი მაინც გახდება დიდი ფეხბურთელი

პატივცემულო რედაქცია, მარნეულის რაიონის სოფელ თამარისიდან გწერთ. სოფელში არ არის ფეხბურთის მოედანი და ამის გამო ახალგაზრდები ვერსად შევკრებილვართ გასართობად და სავარჯიშოდ. არადა ჩვენს შორის ბევრია ფიზიკურად ძლიერი ბიჭი, ვინ იცის, იქნებ მათგან ერთი მაინც გახდეს დიდი ფეხბურთელი. გთხოვთ ეს წერილი გამოგვიქვეყნოთ. იქნებ სოფლის თავკაცებმა მაშინ მაინც მოგვხედონ.

**თამარისელი ახალგაზრდები.**

## დაპირება დაპირებად დარჩა

ამ წერილს გწერთ ონის რაიონის კიროვის მე-2 შესახვევის, გურამიშვილის ქუჩის და ბაზოვის ქუჩის ზემო ნაწილის ბავშვების თხოვნით.

ამ სამიოდე წლის წინათ ადგილობრივ გაზეთ „განთიადში" დაიბეჭდა წერილი მარტივი საფეხბურთო მოედნის შესახებ, დაგვპირდნენ, რომ მდინარე ღარულის პირას მოგვიწყობდნენ მოედანს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და ამ სამი წლის მანძილზე თავი არავის შეუწუხებია.

მართალია, გვაქვს მომცრო მოედანი, თუკი მას მოედანი ეთქმის, მაგრამ თამაშის დროს, მიუხედავად ჩვენი მორიდებისა, ბურთი მეზობლის ეზოში ვარდება და მათ სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

გთხოვთ დაგვეხმაროთ.

**ვ. ალიხანაშვილი, დ. სხირტლაძე, გ. ჯელაძე, დ. სამხარაძე, ბ. ჯელაძე და სხვები.**

ჩვენი მისამართია:
თბილისი — 380096,
ლენინის, 14.
ტელეფონები: 93-97-50,
93-97-55.

# „ავჭალური" — ბავშვთა ფანტაზიის ნაყოფი

ჩემი თაობის თბილისელები, რომელთა ბავშვობის ხანა 30-იან წლებს ემთხვევა, განებივრებული არასოდეს ვყოფილვართ სპორტული სექციების სიმრავლით, პრიმიტიული სპორტული ინვენტარიც საძებარი გვქონდა. ის კი არა, სკოლაში რომელიმე კლასს კამერიანი ბურთი თუ გააჩნდა, ახეთი გუნდი ყველასათვის სასიამოვნო მეტოქე იყო, ვინაიდან მასთან თამაში მოგიწევდათ არა „ჭინჭის", არამედ ნამდვილი ბურთით.

სამაგიეროდ, უზომოდ მდიდრები ვიყავით მოძრავი თამაშებით, რომლებიც ჩვენი წინაპრების ფანტაზიის ლამაზ ნაყოფად შემოგვრჩა და ჩვენც ვამრავალფეროვნებდით, ადგილობრივი პირობების შესაბამისად ვცვლიდით ხოლმე წესებს, მოთამაშეთა რაოდენობას, ინვენტარს და ა. შ.

მახსოვს, ამ თამაშებს შორის 30-იან წლებში თავისი მასობრიობით გამოირჩეოდა ის, რომელიც, რატომღაც, „ავჭალურის" სახელით გავრცელდა ქალაქში. მისი პოპულარობა ალბათ იმანაც განაპირობა, რომ თამაშისათვის არავითარი სარბიელი და რთული ინვენტარი არ იყო საჭირო. გავიმეტებდით ერთ წინდას, გადავჭრიდით, ამოვავსებდით ლობიოს, ხიმინდის მარცვლებით, ან სულაც — ქვიშით, მოვუკრავდით თავს, გამოდიოდა ჩოგბურთის ბურთისოდენა საგანი, ვიწყებდით შეჯიბრებას მის აკენწვლაში. აქ ათასგვარ ფანტაზიას ვიჩენდით. უფრო ხშირად დამარცხებული (ე. ი. ის, რომელმაც უფრო ნაკლები რაოდენობით აკენწლა ბურთი), დადგებოდა გამარჯვებულისგან 3-4 ნაბიჯზე და მისი მიმართულებით ისროდა ბურთს, გამარჯვებული კი ამოჰკრავდა ფეხს და გადააგდებდა მისთვის სასურველი მიმართულებით. დამარცხებულს უნდა მოეტანა ბურთი და ხელახლა „დაეხვა" გამარჯვებულის ფეხზე, ე. ი. დამარცხებული ფაქტიურად ბურთის მომტანის როლში გამოდიოდა. ესე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე იგი გამარჯვებულის მიერ დარტყმულ ბურთს ჰაერში დაიჭერდა. ქალაქში ამ თამაშის სხვა ვარიანტებიც არსებობდა.

ახლა რომ ვფახებ „ავჭალურის" შინაარსს, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ იგი თავის დროზე შესანიშნავ დამხმარე ვარჯიშს წარმოადგენდა ნორჩი ფეხბურთელებისთვის. ეს თამაში ხელს გვიწყობდა ისეთი მოძრაობების კარგად დაუფლებაში, როგორიც იყო ბურთის კენწვლა, შეუჩერებლივ ჰაერში ბურთის დარტყმა, მეკარისთვის საჭირო ნახტომების შესრულება და ა. შ. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩვენს უბანში (სატიოზე) გაზრდილი ფეხბურთელები „ავჭალურის" ვირტუოზებიც იყვნენ.

ვშიშობ, მეტი ხიოამამე არ გამომივიდეს, თუკი ჩვენი ნორჩი ფეხბურთელების წვრთნაში ამ თამაშის დანერგვაზე და სარგებლიანობაზე ჩამოვაგდებ საუბარს. ამას ალბათ ფეხბურთის სპეციალისტები ჩემზე უკეთ განსჯიან, მაგრამ თუ მაინც ვისაუბრებთ „ავჭალურზე", როგორც ჩვენი ქალაქის სპორტული წარსულის ერთ-ერთ საინტერესო თამაშზე, სრულიად თამამად შემიძლია ვთქვა: ნუ დავივიწყებთ, მეგობრებო, ჩვენს ხალხურ სპორტს, საბავშვო ვარჯიშებს, ქალაქებსა და სოფლებში გავრცელებულ ძველ შესანიშნავ თამაშობებს, ფართოდ დავნერგოთ იგი ჩვენი ბავშვების ყოფაში! მოდით, თუ გნებავთ, „ავჭალურით" დავიწყოთ!

**ავთანდილ ციბაძე,**
საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი და თასის გათამაშება მძლეოსნობაში

# გაახალგაზრდავება... იძულებით

ხარვეზებზე — საჯაროდ!

**უკანასკნელ** წლებში სპორტი საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა". მათ შორის მძლეოსნობაც, რასაკვირველია, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სპორტის დემოგრაფიაზე კი არ გვინდა გესაუბროთ, არამედ იმის შესახებ, რომ მძლეოსანთა გუნდების ნაძალადევად, ანდა იძულებით „გაახალგაზრდავება" სასიკეთო ვითარებით არ არის გამოწვეული. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. გასულ კვირას დამთავრდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, სადაც მონაწილეთა უმრავლესობა ჭაბუკთა შეჯიბრებაზე იყო დასაშვები და არა მოზრდილთა ასპარეზობაზე. მაგალითად, აჭარის 13-კაციან ნაკრებში ყველაზე „ხანდაზმული" 17 წლის (!) იყო. ძიების ჩვენება იყო საჭირო) ჩვენში სანთლით საძებარია და ამ კატეგორიის მქონე სკოლადამთავრებული მოზარდი უაღრესად „პერსპექტიულ" აბიტურიენტად ითვლება ან ასეთად თვლის თავს. მისი შემდგომი მიზანი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაა და ადგილზე, ე. ი. მშობლიურ ქალაქში რით გინდა დააკავო? თუ იგი თბილისში ჩამოვიდა, კიდევ კარგი, მაგრამ ზოგჯერ, ეს უფრო აფხაზეთისა და ზოგჯერ აჭარის გუნდის წევრებზე შეიძლება ითქვას, სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში ირჩევს უმაღლეს სასწავლებელს და ის მძლეოსანი საერთოდ იკარგება ჩვენთვის. მართალია სპორტსმენთა ადგილზე „დამაგრების" მხრივ შედარებით კარგი პერსპექტივაა ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, მაგრამ იქაურ უმაღლეს სასწავლებელში, რასაკვირველია, ყველა ადგილობრივი სპორტსმენი ვერ ხვდება.



ბესიკ გოცირიძე.

რითადად ასეთივე სურათი იყო სხვა გუნდებშიც, მათ შორის თბილისის ნაკრებშიც, თუმცა შეჯიბრების აშკარა ფავორიტს შემადგენლობაში უფროსი ასაკის სპორტსმენებიც ჰყავდა.

ზემოთ ნათქვამს ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობდა საკავშირო თასის გათამაშების ზონალური პირველობა, ე. ი. რესპუბლიკის თასის გათამაშება და ამ შეჯიბრებაშიც მოზრდილ მძლეოსანთა გამოყვანა იყო საჭირო. მაგრამ ორივე ასპარეზობის მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა ზემოთ მოყვანილი მიზეზის გამო, თანაც დებულებით გათვალისწინებული 20-კაციანი გუნდების დაკომპლექტების მაგიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონმა (თბილისის გამოკლებით) გაცილებით მცირერიცხოვანი კოლექტივები გამოიყვანა: საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟში აფხაზეთიდან 14 მძლეოსანი ასპარეზობდა, სამხრეთ ოსეთიდან — 17, ქუთაისიდან — 11, რუსთავიდან — 7, თელავიდან — 3, თბილისიდან 60 (25 — პირად პირველობაში).

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ გუნდურ პირველობაში სადავო არაფერი იყო. ვინ გაუმკლავდებოდა შეჯიბრების მასპინძლებს? მაგრამ მძლეოსნობაში იმდენად გუნდების ბრძოლა კი არ არის საინტერესო, რამდენადაც სპორტსმენებისა ცალ-ცალკე სახეობებში. თუმცა ასე თუ ისე საინტერესო ასპარეზობა მხოლოდ რამდენიმე დისტანციაში (30-დან) გაიმართა.

მაგრამ ამ წერილის მიზანი ისე არ გაიგოთ, თითქოს ვაპირებდეთ თავს ლაფი დავასხათ შეჯიბრების მონაწილე გუნდებსა და სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებს. უბრალოდ, გვინდა ვთქვათ ის, რაც ისედაც ცნობილია მძლეოსნობის სპეციალისტებისათვის და რის გამოც მანეჟში ნანახი წინასწარ ვარაუდს დაემთხვა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კატასტროფულად მცირეა მოზრდილ მძლეოსანთა ჯგუფების რაოდენობა და იქ მიმდინარე მუშაობა მოსწავლე მძლეოსანთა მომზადებით შემოიფარგლება.

რატომ მოხდა ასე?

პირველთანრიგოსანი მძლეოსანი (ჩემპიონატში ჩათვლის მოსაპოვებლად პირველი თანრიგის ნორმატ-

მეორე მიზეზი, რის გამოც ჩვენში ჭაბუკთა და მოზარდთა შეჯიბრებებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ, ის არის, რომ სკოლადამთავრებულ მძლეოსნის შემდგომ დასაოსტატებლად სათანადო პირობები სჭირდება, მაგრამ რაიონებში საიდან იქნება ეს პირობები? არც ნორმალური სავარჯიშო სტადიონია და არც კვალიფიციური მწვრთნელი ჩანს. კარგი, ბოლო ხანს ქუთაისში „ტორპედოს" სტადიონზე სარბენი ბილიკი დააგეს, მაგრამ სხვაგან? გაჭიანურდა მშენებლობა ბათუმის „დინამოს" სტადიონზე, ცხინვალელ მწვრთნელებს ოცნებად აქვთ გადაქცეული სტადიონზე ახალი მასალის „რეგულპოლის" დაგება (თანხა საკმარისი აქვთ), მაგრამ ვერ უშოვიათ და ა. შ.

კიდევ კარგი, ამჯერად საასპარეზოდ ყველა მსურველი დაუშვეს, თორემ საქმეს ისედაც აძნელებს „სტანდარტული" დებულებები ასაკობრივი ცენზის შესახებ, რომელთა დაცვა აუცილებელია საკავშირო შეჯიბრებებზე, მაგრამ არა შინაურ პირველობებზე. ამ ცენზის „ერთგულების" წყალობით ზოგჯერ საქართველოს ჩემპიონი ხდება სპორტსმენი, რომელიც, ვთქვათ, მე-5 ადგილს იკავებს (თუ პირველი ოთხი დებულებამ „მოხუცებად" გამოაცხადა). რესპუბლიკის ჩემპიონატზე ფინიშთან პირველად მისული სპორტსმენი რესპუბლიკის ჩემპიონი უნდა იყოს!

ითაც არიან შებოჭილნი. აქ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებულ სკოლაში ახალმა დირექტორმა გაკვირებულმა მაჩვენა კონტინგენტის სია: სკოლის 750-კაციან „რაზმში" ირიცხებოდა (კარგად დააკვირდით ამ ციფრებს): 1966 წელს დაბადებული და უფროსი ასაკის 15 მძლეოსანი, 1967 წელს დაბადებული — 3 (!), 1968 — 15, 1969 — 17, 1970 — 34, 1971 — 53, 1972 — 78, 1974 — 138, 1975 — 155, 1976 — 84, 1977 — 33, 1978 — 18. თუ სპორტსმენთა სელექციის კანონებს იცნობთ, მიხვდებით, რომ სკოლა შორს გამიზნული პერსპექტივით კი არა, „დღევანდელი კვერცხის" პრინციპით ცხოვრობდა. თუ ყმაწვილობის ასაკში მოსწავლეთა საჭირო რაოდენობას ვერ შეარჩევ, მათთან სათანადოდ ვერ იმუშავებ, შედეგად იმას მიიღებ, რომ იმ ასაკში (ოციოდე წლის), რომელიც ახლა უნდა იწყებდეს დიდ სარბიელზე გამოსვლას, 3 მძლეოსნის იმედზე დარჩები. 14-17 წლის მოზარდს მოკლე ხანში ასე თუ ისე მოამზადებ კონკრეტული შეჯიბრებისთვის (მაგალითად, მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის), ხოლო იმისთვის, რომ მართლაც პერსპექტიულ მძლეოსანთა მთელი თაობა გეზრდებოდეს, დასაწყისში 10-12 წლის ბავშვთა დიდ ჯგუფთან უნდა დაიწყო მუშაობა და არა რამდენიმესთან. ასეთი ტენდენცია სხვა სკოლებისთვისაც არის დამახასიათებელი.

უაღრესად მტკივნეული პრობლემაა მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაციაც, მაგრამ ამის შესახებ საუბარი ორიოდე კვირით გადავდოთ, ვიდრე საქართველოს სპორტსახკომის შესაბამისი განყოფილება მძლეოსნობის მწვრთნელთა ატესტაციას დაამთავრებს და ხელთ კონკრეტული ციფრები გვექნება.

ამ წერილში ერთ-ორ საკითხს შევეხეთ, ვიცით, მთლიანად ჩვენში მძლეოსნობის პრობლემები უფრო ფართოა და ერთ საგაზეთო სტატიაში ვერ დავტევთ, ვერც ერთი ხელის დაკვრით გადავჭრით. თუმცა მუშაობის შეცვლის აუცილებლობა აშკარაა. როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს, საჭიროა ხანგრძლივი შრომა, ოღონდ მას ამთავითვე საღი საფუძველი უნდა ჩაეყაროს.

და ბოლოს, რამდენიმე შედეგის შესახებ. ყველაზე საინტერესო გა-



ვაჟები 110 მეტრზე თარჯრბენის დროს. მარჯვნივ: დ. კალაძე. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

რადგან საქართველოს ჩემპიონატი უფრო ჭაბუკთა შეჯიბრება ყოფილა და არა მოზრდილებისა, ამ წერილში ახალგაზრდა მძლეოსანთა მომზადების პრობლემებზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. მიუხედავად ზემოთქმულისა, გუშინწინდელ შეჯიბრებაზე შედეგები გაცილებით მაღალი იქნებოდა, სხვადასხვა სპორტული სკოლა მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყო. არადა, მათ კონტინგენტს მცირერიცხოვანს ვერ ვუწოდებთ. თუნდაც რაიონებში, ბათუმში, მაგალითად, განათლების სამინისტროს 400-კაციანი სპეციალიზებული მძლეოსნური სკოლაა, რუსთავში — ასით ნაკლები მოსწავლეა, თბილისში — გაცილებით მეტი და ა. შ. ამ შემთხვევაში რაოდენობა და ხარისხი სხვადასხვა პოლუსზე დგანან. სკოლები საკუთარი პრობლემების გარდა ათასი გარე დებულება-დირექტივებ-

მოდგა გარბენი 110 მეტრზე თარჯრბენში, სადაც სპორტის ოსტატობის შედეგით გაიმარჯვა რუსთაველმა დიმიტრი კალაძემ — 7,7. რომის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ ბესიკ გოცირიძემ მოიგო 60 და 200 მეტრზე რბენა — 6,7 და 21,6. თექვსმეტი წლის წყალტუბოელმა მძლეოსანმა მერაბ ყურაშვილმა, რომელიც ახლა გლდანის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში სწავლობს, ბირთვი 16,32 მეტრზე ჰკრა. ისიც უნდა ითქვას, რომ ასპარეზობაში არ მონაწილეობდა საქართველოს რამდენიმე წამყვანი მძლეოსანი, რამაც დააზარალა მისი სანახაობრივი მხარე და შედეგებზეც იმოქმედა.

საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ტექნიკურ შედეგებს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გაგაცნობთ.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**



წყალბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ

# საკონტროლო მატჩებით...

**თბილისელ** წყალბურთის მოყვარულებს თუმცა არავითარი აფიშა არ უხმობდათ, მაგრამ ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც ვაკის საცურაო აუზში იყრიდნენ თავს. მერე რა, რომ აქ ოფიციალური შეჯიბრება არ ტარდებოდა. თუ გულშემატკივარი ხარ, ოფიციალური მატჩებიც უნდა გაინტერესებდეს და არაოფიციალურიც, გუნდის ვარჯიშიც და მისი თითოეული წევრის ჯანმრთელობაც...

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის ჭეშმარიტი გულშემატკივარი ამ დღეებში ისევე აფორიაქებული იყო, როგორც გახურებული სეზონისას. ეს გასაგებიც გახლდათ, თბილისის „დინამო", საკავშირო ჩემპიონატის დაწყების წინ, შეიძლება ითქვას, უმაღლეს დონეზე ცდიდა ძალას. საკონტროლო მატჩებში მისი ოპონენტები იყვნენ ალმა-ათის, კიევისა და ლვოვის „დინამოს" გუნდები — უმაღლესი ლიგის სამი სრულიად სხვადასხვა ძალისა და განსხვავებული სტილის გუნდები. მათ ერთმანეთთან ორორი შეხვედრა ჩაატარეს. მასპინძლებმა ალმაათელებთან, საბჭოთა წყალბურთის უკანასკნელი წლების ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერებთან, ორივე შეხვედრა მოიგეს, ბოლო წლებში საგრძნობლად აღზევებულ ლვოველთა გუნდთან კი თითო თამაში მოიგეს და წააგეს. ასევე დამთავრდა მათი შეხვედრები კიეველ თანაკლუბელებთან, რომლებიც წლების განმავლობაში თითქმის მუდამ სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში ავსებენ გრაფას. საბოლოოდ თბილისელებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

კვირას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოთხთა ტურნირის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**● თბილისელთა გამარჯვება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ისინი საკავშირო ჩემპიონატისთვის კარგად არიან მომზადებულნი?**

— საკონტროლო თამაშების მოგება-წაგების მიხედვით საბოლოო დასკვნების გამოტანა ძნელია. ერთია, როცა გუნდი ამხანაგურ მატჩს ატარებს და, ვთქვათ, ამა თუ იმ კომბინაციას ცდის. სულ სხვაა, როცა გუნდი ოფიციალურ მატჩებშია ჩაბმული, სატურნირო ციებ-ცხელება აქვს და ყოველ მატჩში, ყოველი ბურთისთვის, როგორც იტყვიან, კბილებით იბრძვის. და მაინც ამ საკონტროლო შეხვედრებში ჩვენი გამარჯვება რაღაცას ნიშნავს. ბიჭებს მონდომება ეტყობათ. ამ თამაშებში ჩვენი ნაკლიც გამოჩნდა, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე გამოვასწორებთ.

**● ჩემპიონატი ხომ სულ რამდენიმე დღის მერე, 19 იანვარს იწყება...**

— იმ ხარვეზების აღმოფხვრა რამდენიმე დღეშიც შეიძლება. ვფიქრობ, ჩემპიონატს კარგად დავიწყებთ. თუმცა, მეტად ძნელი ტური გველის — ჩვენი მეტოქეები მოსკოვის „დინამოს", „უნივერსიტეტის", „მოსკვიჩის", ხარკოვის „ლოკომოტივისა" და ლვოვის „დინამოს" გუნდები იქნებიან.

იხ. მე-4 გვ.

# და მაინც ტურნირი...

**ტურნირს** ოფიციალურად საკავშირო ეწოდებოდა, თუმცა მასში... სულ ორი ქალაქის ხელბურთელები გამოვიდნენ — თბილისისა და აშხაბადის. ეს სავალალო ფაქტი იმითაც აიხსნებოდა, რომ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან მოპატიჟებული ნორჩი ჭაბუკი სპორტსმენები (1974-75 წ. წ. დაბადებულნი) რიგ საკავშირო შეჯიბრებებში გამოდიოდნენ — ვოლგოგრადში, კლაიპედასა და სხვა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და თბილისელებმა გლდანის სპორტული სკოლის სარბიელზე ერთდროულად სამი გუნდი გამოიყვანეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ძლიერი თბილისის პირველი გუნდი აღმოჩნდა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ჯიმშერ დვალიშვილი). ეს გუნდი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების ბირთვად ითვლება 1989 წლის საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის. ჯ. დვალიშვილის აღსაზრდელებმა იოლად სძლიეს ყველა მეტოქეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისის მეორე, აშხაბადისა და თბილისის მესამე გუნდები.

— სამწუხაროა, რომ ჩვენს ტურნირზე ვერ მოახერხეს ჩამოსვლა ქვეყნის სხვა ქალაქების ხელბურთელებმა — გვითხრა ახლო წარსულში ცნობილმა ხელბურთელმა, სპორტის ოსტატმა ზაზა დოლიძემ, რომელიც ამჟამად ოლიმპიური რეზერვის სკოლის დირექტორად მუშაობს — მაგრამ კიდევ უფრო სავალალოა, რომ **შეჯიბრებაზე გაუგებარი მიზეზით არ გამოცხადდა ბათუმელთა გუნდი.** ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ აჭარის დედაქალაქის სამი ხელბურთელი დღეს რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატად ითვლება. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ მათ გარდა ნაკრებში შევა აგრეთვე თითო ხელბურთელი ქუთაისიდან, ცხინვალიდან და თელავიდან.

შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ გლდანის სპორტსკოლის სარბიელი არ დაცარიელებულა — მასზე ახლა საასპარეზოდ გამოდიან ხელბურთელი გოგონები.

**გიორგი ბაციაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10 საუკეთესო მსაჯი

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციამ 1987 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 10 საუკეთესო მსაჯის სია: ა. სპირინი (მოსკოვი), ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი), ვ. ჟუკი (მინსკი), ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა), ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი), ა. კირილოვი (მოსკოვი), ვ. ბუტენკო (მოსკოვი), რ. იუშკა (ვილნიუსი), ნ. იუროვი (ტომსკი), ნ. რაგიმოვი (ბაქო).

## თასების მფლობელთა თასზე

**ფეხბურთში** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას დაიცავენ მინსკის დინამოელები. წილისყრამ მათ მეტოქედ შეახვედრა ბელგიის „მეხელენი".

მინსკის დინამოელები პირველ მატჩს 2 მარტს გამართავენ სტუმრად, ბელგიის ქალაქ მეხელენში, ხოლო 16 მარტს ისინი შინ მიიღებენ მეტოქეს.

### სარბიელზე არიან ოჯახები



## პრიზი—სპორტული ტრენაჟორი

**თბილისში** „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის და პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით პირველად ჩატარდა ოჯახების შეჯიბრება დევიზით „დედა, მამა და მე". პროგრამაში იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი კომბინირებული 8 თამაში. ასპარეზობაში მხოლოდ თბილისის სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი დაიკავა ერისთავების ოჯახმა (მამა ვიქტორი, დედა ელისო, შვილი კოტე). მეორე ადგილზე გავიდა დრაგუნოვების, მესამეზე—სოლნცევების ოჯახი.

გამარჯვებულებს ჯილდოდ გადაეცათ სპორტული ინვენტარი. პირველ ადგილზე გამოსული ერისთავების ოჯახი შინ სპორტული ტრენაჟორით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

## მასპინძლობდა რუსთავი

რუსთავის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა (დირექტორი მ. ჩაჩავა) სულ ერთი წელია არსებობს, აქ 26 ჯგუფში 420 ბავშვია გაერთიანებული.

განვლილი არდადეგების დღეებში რუსთავში სტუმრად მიიწვიეს სტავროპოლის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის 1974 წელში დაბადებულთა გუნდი, რომელთანაც ოთხი შეხვედრა გამართეს. მასპინძლებმა ორი მატჩი მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და ერთი წააგეს.

ნორჩ სევასტოპოლელ ფეხბურთელებს თავისუფალ დროს დაათვალიერებინეს ქალაქი, ისინი ეწვივნენ თბილისს, მცხეთას.

ნორჩი რუსთაველი ფეხბურთელები საპასუხო ვიზიტით სევასტოპოლს ეწვევიან მაისში.

**რაჟდენ ბაბრიშვილი.**
**(„ლელოს" კორ.).**

## ხულიგნები არ ცხრებიან

ლონდონში ამ დღეებში შედგა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი „არსენალსა" და „მილუოლს" შორის.

როგორც ჩანს, ინგლისელი გულშემატკივრები არ ცხრებიან და კვლავინდებურად განაგრძობენ ხულიგნობას. მათ ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე დაარბიეს სტადიონის ახლომდებარე რესტორნები, მერე კი, როცა „არსენალმა" ანგარიშით 2:0 დაამარცხა მეტოქე, ტრიბუნებზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა ატყდა. ბევრია დაშავებული, ერთი პოლიციელი კი, რომელსაც მოჩხუბრების გაშველება სურდა, საავადმყოფოში მოათავსეს. ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ გულშემატკივართა ხულიგნობა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატზე სისტემატურად ხდება თითქმის ყოველი მატჩის დროს.

ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ ბელგიის იუსტიციის ორგანოებმა დაამთავრეს „ეიზელის" სტადიონზე 1985 წლის 29 მაისს მომხდარი მასობრივი დებოშის საქმის ძიება, იმ დღეს 39 მაყურებელი დაიღუპა და 450 მძიმედ დაიჭრა.

ვანდალიზმის ეს უმაგალითო აქტი მოხდა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დროს იტალიის „იუვენტუსსა" და ინგლისის „ლივერპულს" შორის. მაშინ დააპატიმრეს ხულიგანთა დიდი ჯგუფი, მათგან 26 კაცი ინგლისელი გულშემატკივარია.

„ეიზელის" სტადიონზე მომხდარ ამბავთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი დაიწყება სულ მალე — თებერვლის დასასრულს, ან მარტის პირველ რიცხვებში.

### მერკელის „ახალი კანონები"

ჰამბურგის ჟურნალი „ფორვერტსი" წერს, რომ ბუნდესლიგის ზოგიერთი მწვრთნელი ნამდვილი დესპოტივით იქცევა, ცნობილი „ნიურბერგერის" მწვრთნელი მაქს მერკელი ფეხბურთელებს აიძულებს საათობით იდგნენ შხაპის ქვეშ და სხვადასხვა ილეთები შეასრულონ, იმ მოსაზრებით, რომ სპორტსმენები წვიმის დროს გაცილებით უკეთ ითამაშებენ.

კლუბის შენობაში მერკელმა ასეთი „კანონები" გამოაკრა.

1. მწვრთნელი ყოველთვის მართალია.

2. თუ მწვრთნელი მართალი არ არის, მაშინ პირველი პარაგრაფი მაინც ძალაში შედის.

## მწვრთნელმა იჩივლა...

სულ არ მინდოდა, მაგრამ გარემოება მაინც მაიძულებს რამდენიმე დღის წინანდელ ამბებს დავუბრუნდე, როცა გამოქვეყნდა ჩემი პატარა რეპორტაჟი („სოვეტსკი სპორტი", ა. წ. 9 იანვარი) დონეცკის კალათბურთელთა ტურნირიდან. ამ რეპორტაჟში რამდენიმე კრიტიკული სიტყვა იყო ნათქვამი თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. მოსეშვილის მისამართით. გაგახსენებთ, საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ სპორტსმენთა ცნობილმა დამრიგებელმა დაივიწყა დაპირება, ინტერვიუ მიეცა „სოვეტსკი სპორტისთვის" და მის მიერვე დანიშნულ დროს უხმოდ დატოვა დარბაზი, რითაც (მომიტევეთ, იძულებული ვარ, თვითციტირებას მივმართო) „საფუძველი მოგვცა გვეფიქრა, რომ მწვრთნელის მაღალი წოდება ყოველთვის არ არის ასევე სანიმუშო ზრდილობისა და პრესის მიმართ პატივისცემის სიმბოლო". თუ გგონიათ, რომ „დინამოს" მწვრთნელმა, იგრძნო რა სავსებით გასაგები სულიერი შეშფოთება, იჩქარა ბოდიში მოეხადა გაზეთისა და მისი მკითხველებისთვის, შემცდარხართ. ლევან მოსეშვილმა ისევ და ისევ გაგვაოცა სრულიად მოულოდნელი საქციელით. იგი სასტიკად განაწყენდა და „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტს უჩივლა... ქვანახშირის საწარმოს ხელმძღვანელობასთან (?!), რომლის სპორტულ ღირსებასაც იცავს ადგილობრივი გუნდი „შახტიორი".

ბევრი ვეცადე ლოგიკა მეპოვა ამ ყოვლად გაუგებარ ჟესტში, მაგრამ, მომკალით და, ვერ ვიპოვე. მაგრამ, თუ ეს ლოგიკა მაინც არსებობს და იგი ცნობილია თბილისელი მწვრთნელისათვის, ისღა დამრჩენია ბედს მადლობა შევწირო თუნდაც იმისათვის, რომ დონეცკელთა კალათბურთი ჩემპიონატში, ვთქვათ, დინამოელთა გუნდით არ არის წარმოდგენილი. იმიტომ რომ ასეთ შემთხვევაში ჩემთვის „ჭკუის სწავლება" გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა: შეიძლებოდა, მაგალითად, ჩემი მიყვანა უახლოეს მილიციის განყოფილებაში, ასე ვთქვათ, უწყებრივი ხაზით...

ახლა კი, მოდით, სერიოზულად ვილაპარაკოთ.

ბოლო ხანს ცოტა როდი დაიწერა ჩვენს სპორტულ ოჯახში დიდი ხნის ნანატრი ზნეობრივი განახლების სასარგებლოდ, რომლის ფასიც კაპიკი იქნება, თუ ზოგიერთ საქმესა და საქციელს მომთხოვნი, მკაცრი თვალით არ შევხედავთ. ნუთუ არ მოგვწყინდა ლაპარაკი ყბად აღებულ „მუნდირის ღირსებაზე", რაც ხშირად ირგვლივ ყველაფერს ჩრდილავს?

არადა, იმისათვის, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას ეს აშკარად რიტორიკული საკითხი, არც ისე ბევრი რამ არის საჭირო. დასაწყისისთვის საჭიროა ყველამ თავის საქმეს მოჰკიდოს ხელი. მაგალითად, ქვანახშირის შახტში ქვანახშირის მოპოვებისთვის უნდა ზრუნავდნენ, თუმცა, რასაკვირველია, ამავე დროს არც სპორტის განვითარება უნდა დაივიწყონ, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი სოციალური შეკვეთა. მწვრთნელებს — როგორც დამსახურებულებს, ისე რიგითებს — თავიანთი აღსაზრდელები ახალი სპორტული მწვერვალებისკენ უნდა მიჰყავდეთ და როგორც გამარჯვების, ისე მარცხის წუთებში, ერთნაირი მოთმინებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ ჟურნალისტთა შრომას. ჩვენ კი, ჟურნალისტები, უნდა ვწერდეთ ან მიკროფონთან ვლაპარაკობდეთ ყველაფერ იმაზე, რაც გვაღელვებს და გვაშფოთებს. და ზოგჯერ, მიუხედავად კონკრეტული პიროვნებებისა, თუკი ამას საქმის ინტერესები მოითხოვს, უნდა ვაკრიტიკებდეთ კიდეც...

**ი. იურისი,**
დონეცკი.

**„სოვეტსკი სპორტი" 12 იანვარი, 1988 წ.**

## საკონტროლო მატჩებით...

**დასასრული**

● **წლევანდელი ჩემპიონატის უჩვეულოდ ადრე დაწყება რითია გამოწვეული?**

— მოგეხსენებათ, წლევანდელი წელი ოლიმპიური წელია. საბჭოთა წყალბურთელების ნაკრები სეულის ოლიმპიურ თამაშებზე სერიოზული პრეტენზიებით გაემგზავრება. საკავშირო ჩემპიონატის ადრე დაწყება კი სწორედ საბჭოთა ნაკრების უკეთ მომზადების მიზნით გადაწყდა.

● **რაკი საბჭოთა ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ თბილისელთაგან ვინაა მიწვეული ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდში.**

— საბჭოთა წყალბურთელთა ნაკრები გუნდის კანდიდატები არიან კახა კანდელაკი და მეკარე მიხეილ გიორგაძე.

● **თბილისში გამართულ საკონტროლო შეხვედრებში ჩვენს გუნდში ვერ ვიხილეთ კოლუაშვილი. თბილისელთა შემადგენლობაში გამოჩნდა ახალი მოთამაშე ლიპარტელიანი, კარის დარაჯობას ხშირად ანდობდით კერესელიძეს...**

— კოლუაშვილი გუნდს გამოეთხოვა, სამაგიეროდ თბილისის არმიელთა გუნდიდან „დინამოში" მოვიწვიეთ მცველი ლიპარტელიანი და ნახევარმცველი ასათიანი. რაც შეეხება კერესელიძეს, იგი ჩვენი მესამე მეკარეა. საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში ვერ გამოვა ჩვენი მეორე მეკარე ტუკვაძე. იგი შეუძლოდაა და მის ნაცვლად კერესელიძეს წავიყვანთ. ჩვენთან კიდევ ერთი სიახლეა. გუნდი დატოვა მეორე მწვრთნელმა ბორის მეგედმა, მისი ადგილი კი დაიკავა იური ქართველიშვილმა, რომელიც ბოლო დროს რუსთაველ წყალბურთელებსა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ავარჯიშებდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდში დროდადრო კარგი შევსება მოდის, მაგრამ ვერა და ვერ გამოჩნდა ლიდერი, რომელიც მატჩის მსვლელობისას ვიღაცას რაღაცას უკარნახებს, თანაგუნდელებს აიყოლიებს და შეხვედრის მიმდინარეობაში გარდატეხას შეიტანს. ასეთი წყალბურთელი ჩვენს გუნდს ჰაერივით სჭირდება.

● **მრავალი ისეთი შემთხვევის გახსენება შეიძლება, როცა თბილისელებს უძლიერესი გუნდებისთვის, როგორც იტყვიან, შავი დღე დაუყრიათ, ხოლო მერე მოულოდნელად თავისზე სუსტებთან დამარცხებულან.**

— მართალს ბრძანებთ. ჩვენი გუნდი ეგრეთწოდებული განწყობილების გუნდია. ეს კარგიცაა და ცუდიც. ცუდია მაშინ, როცა სუსტი გუნდის წინააღმდეგ იოლი გამარჯვების რწმენით გამოდიხარ. ასეთ შემთხვევაში კაცი მობილიზების უნარს კარგავს. ეს ყველაფერი არასტაბილურ თამაშს იწვევს. ჩვენს გუნდს კიდევ ერთი ნაკლი აქვს — დამარცხების შემდეგ ძალას ვეღარ იკრებს და მომდევნო თამაშებს სულ უფრო აუარესებს. ამის მაგალითად შარშანდელი სეზონიც გამოდგება. მაშინ კარგა ხანს მედლებისთვის მებრძოლთა შორის ვიყავით. მერე, რაკი ერთხელ ფეხი დაგვიცდა, საქმე სულ უფრო და უფრო ცუდად წავიდა. როცა ჩვენმა გუნდმა მედლების მოპოვების შანსი დაკარგა, შემდეგ კი მეოთხე და მეხუთე ადგილების დაკავების იმედიც ხელში შემოადნა (თუმცა საუკეთესო ექვსეულში ადგილი გაინაღდა), მთლად მოეშვა და ფარხმალი დაყარა.

● **წლეულს რა გეგმები გაქვთ?**

— კვლავ ექვსეულში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ. რა თქმა უნდა, ყოველი გეგმა ჩვენი და მოწინააღმდეგეების პოტენციური შესაძლებლობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მოსკოვის, ალმა-ათის და ლვოვის „დინამოს", მოსკოვის „უნივერსიტეტისა" და სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდები ჩვენზე მეტნაკლებად ძლიერები არიან. თუმცა, ნებისმიერი მათგანის დამარცხება შეგვიძლია, სტაბილურად ამის გაკეთება ჩვენს ძალებს აღემატება. და მაინც, ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატს უიმედოდ ვიწყებთ. ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო, ჩვენც სტაბილურ გამოსვლას შევეცდებით.

საუბარი ჩაიწერა
**ავთანდილ გურასაშვილმა.**

### ოლიმპიური ბილეთების ფასი

როგორც კანადის პრესა იუწყება კალგარის ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთების ფასი 15-იდან 75 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ბილეთები ყველაზე იაფია ბიატლონისტთა შეჯიბრებაზე, ყველაზე ძვირი კი თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე

**დუგლას ოოსების ძე ნიკურაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05126